



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 37

„02“ აპრილი 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეზე პრემიის გაცემის შესახებ

„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის № 58 დადგენილებით დამტკიცებული წესის 5-ე მუხლის 5-ე პუნქტის შესაბამისად,

1. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს - პაატა გიორგობიანს მიეცეს პრემია ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი თანხა.
2. განკარგულების შესრულება უზრუნველყოს გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახურმა.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



Handwritten signature

პაატა გიორგობიანი